

F 75  
1918

# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ԿԱՊԵՏԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



0  
F-22

ՅՈՒՆԻՑԻԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

1918



Խ. 1918 թ.

05

5-2234  
საქართველოს მთავრობის  
სამსახურის მიერ განვითარებული  
სამსახურის მიერ განვითარებული

# საქართველო

70 07 1910 80-XIV.

№№ 3—4.

1918 წ.

5

3022 100



გამუშავები

64

## მინაპირისი

I—გაბუტულები,—სურათი . . . . .	1
II—წყარო,—ლექსი ს. ტათუშია . . . . .	3
III—მიხა-დალაქი—ი. ევდოშევალია . . . . .	5
IV—ფერო,—(შემდეგი) მოთხრობა ინ-ბანია . . . . .	13
V—შე ტუანეტას შეილობილი,—მოთხრობა ჯემისონია, (შემდეგი) თარგმანი დათვეზ ანთაძე . . . . .	32
VI—შევიანი კაცის დარიგებას ნუ გადახეოლ,—მეგრული ზღაპარი ჩიტერილი ი. ევფშიძეს მიერ . . . . .	50
VII—თამარ მეფის დრო,—ი. ანთაძე . . . . .	54
IX—როვორ გაწნდა ლურჯი ია,—სინდა საქომიასი . . . . .	62
X—გასართობი:—შარადები რებუსი და ჭისნა . . . . .	63

ა. რეპროდუქცია

# ପ୍ରାଚୀନ ମହାକାଵ୍ୟ

**ଧ**ିବରୀର ଦ୍ୱାରା,  
 ମନ୍ତ୍ରାଜଗ୍ରହଣ,  
 ହିନ୍ଦୁକ୍ଷଲେଖଣ ସମ୍ପର୍କରୁଣ  
 ମନୀର ପ୍ରାପ୍ତିକାଳେଖଣ!...

ମନୀର ମଦାନ ଯଥେତ,  
 ଆଲମାଶେଖ,  
 ଗୁରୁଙ୍କ ଅତେଶକାଳ  
 ଅନ୍ତରାଳେଖ...

ମନ୍ତ୍ରେ ତ୍ରୈର ସନ୍ଧାନେ  
 ଅନ୍ତରକ୍ଷେତ୍ର ମନ୍ତ୍ରାଶ,  
 ପ୍ରପତ୍ତିର ରକାଳେଖ  
 ଏକାକ୍ଷର ଶ୍ରୀପାଶ...

ମନ୍ତ୍ରେ ଗୁରୁନିଃ,  
 ମନ୍ତ୍ରେ କର୍ମକାଳେଖ,  
 ମନ୍ତ୍ରେ ମନ୍ତ୍ରପଦ୍ମ ନାମ  
 ଫଳେ ବନ୍ଦାରେଖ...

ମନୀର ଶିଖରକୁ,  
 ମନୀର ନିର୍ବାକ,  
 ମନୀରାଜ୍ୟ ପିତା  
 ତ୍ରୈତରି ନାମ...

ଗୁରୁଙ୍କ ଅନ୍ତରକ୍ଷେତ୍ରେ  
 କାର୍ଯ୍ୟନାମିନ,  
 ନିର୍ମାତ୍ର ଅନ୍ତରକ୍ଷେତ୍ରେ  
 କ୍ରେତାଳେ, ମନୀନ!

ଓର୍ବିତରମ୍ଭ  
ଶାସନପାତ୍ରମହାନ୍ତିକ

ଖଳାପାଳି ଯୁଦ୍ଧକାନ୍ଧି

ଶୁଣିବାନ୍ତ ରୂପୀଙ୍କିରଣ,

ଶିଥିମାରି ଆଶେଷି

ପ୍ରେଲ୍‌ମେ ପ୍ରାଣିଲ୍ୟକିରଣ...

ରୂପୀଙ୍କିରଣ ଅନ୍ଧରେ,

ଅଶ୍ଵରିକାଲ୍ୟକିରଣ,

ତାଏଇଶୁଭ୍ରତାଙ୍ଗ

ଦାସରିକାଲ୍ୟକିରଣ!..

ରୂପୀ ଲଙ୍ଘନକିରଣ,

ଅଶ୍ଵରିଶ୍ଵରକିରଣ,

ଫଳ କୁର୍ବାକିରଣ

ନୃତ୍ୟକିରଣ!..

ଅନ୍ଧରା ଅନ୍ଧର,

ପ୍ରାଣିଲା ବାରନାନ୍ଧି,

ମନ୍ତ୍ରେ ଧରିଜିଲ୍ୟକିରଣ

ଶବ୍ଦରେ ଅନ୍ଧନାନ୍ଧି!..

ମନ୍ତ୍ରକିରଣ, ଚିତ୍ତକିରଣ,

ମନ୍ତ୍ରକାରୀକିରଣ,

ଚିତ୍ତକିରଣ ଶତକାରୀକିରଣ,

ମନୀଶ ପ୍ରାଣିଲ୍ୟକିରଣ...

ଅନ୍ଧରା ଅନ୍ଧର,

ମନ୍ତ୍ରେ କାଶକାଶକିରଣ,

ମନୋନାର ଶତକାରୀ

ଦାସରିକାଶକିରଣ!..

ଅନ୍ଧରିକେ ଘରତରେକି

ଶାନ୍ତିଶିଳ୍ପି,

ନାଶ ପ୍ରାଣିଲାକି

ମନ୍ତ୍ରଶିଳ୍ପି;


ଶ୍ରୀମିତୀ,

ଅନ୍ଧର କ୍ଷେତ୍ରକିରଣ,

ପ୍ରାଣିଲା ବାରନାନ୍ଧି,

ରୂପୀଙ୍କିରଣ ଶୁଣି...

୬. କାନ୍ତପୁରି



## მისა—დაღაპი\*)



ს ორი სიტუვა უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ სოფ. წიოდას მცხოვრებლებს. მიხა უდალაქოდ, და დალაქი—უმიხაოდ, ეს სიტუვები ცალ-ცალკე სრულებით ვერ გამოსახვადნენ იმ პატარეკინ ტელა არსებას, რომელიც სოფ. წიოდას დალაქი იყო; ეს იმიტომ, რომ ამ სოფელში მიხას სხვებსაც ეძახდნენ; მაგრამ მათში დალაქი, გარდა მიხა-დალაქისა კი, არაერთ იყო. და თუ ოდესშე მოგიხდებოდათ

წიოდელთან ამ მიხაზე ლაპარაკი, უეპველად მიხასთვის დალაქიც უნდა დაგერთოთ, თუ არ გინდოდათ თქვენი ლაპარაკი გაუგებარი ყოფილიყო.

მაშინ და მხოლოდ მაშინ გამოსახავდით წიოდელის წინ, როგორც წინად მოგახსენეთ, ამ პატარა ერთი მუჭა არსებას, მისი პატარა თავპირით, ჩაცვინული ლოყებით, მარცხენა თვალის ზევითი უწიამშამო დახორცეტებულ ქუთუთოთი და მარჯვენა თვალით, რომლითაც მიხა თითქოს მუდამ ვიღიაცას დასცინოდა,—პაჭუა ცხვირით, მუდამ დაწკეპილი ულფაშებით, ყოველთვის გაპარსული ნიჟაპით, ტანთან შეხამებული მხრებით, რომელნიც მუდამ უკან გადაქიმული ეჭირა, რათა გმირული გამომეტყველება ჰქონოდა; დიახ, მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა წიოდელი გლეხი. რომ თქვენ ელაპარაკებით მიხა-

\*) ეს მოთხოვთ, „ნაკადული“-ხითენ დამზადებული, გარდაცვალების ირადიონ ეკლესიის ქადაღდებში ნიხა შისაბა შეუძლებელი შერაცხმა და ჩვენ გადმოგაცა.

დალიაქზე, რომელიც პრტყელის თასშით ქამარზე ჩამოკიდებულია  
ბულ ჩანთა-მანთით, კოსტუმი ამოსხმული ჭალმნებით, შევ ახა-  
ლუხში კოპტიად გამოწყობილი დაიარება.

დაიარება-მეოქი, ფაშბობ, მაგრამ სიარულიც ათასნაირია:  
დაიარება ისე კი არა, როგორც ყველა უბრალო მომაკედაცი  
წიოდელი,—სრულებითაც არა! დაიარება ისე, როგორც მიხა-  
დალიაქს შეჰვერის: მარცხენა ხელით ჩანთაზე დოინჯი გაუ-  
კეთებია, მარჯვენათი ულვაშებს ისუფთავებს, თავი მალლა  
უკირავს, მხრები უკან გადაუწყება და მიღის დარბაისლური  
ნაბიჯით, თავმომწონედ. ვითომ რად არ უნდა მოსწონდეს  
თავი? უბრალო ვინმე კი არ გეგონოთ მიხა! ის წიოდელე-  
ლებისათვის დალაქიც არის და ექიმეც, ბატონიცა და პატ-  
რონიც, ყმაცა და მბრძანებელიც. უნდა ნახოთ, მყითხველო,  
თქვენი ბედნიერი თვალით მიხა-დალაქი ზაფხულობით, რო-  
დესაც მთელი სოფელი მინდორშია სამუშაოდ გასული და  
შინ, გარდა უძლური ბებრებისა და პატარძლებისა, აღარავინ  
დარჩომილი. უნდა ნახოთ და მაშინ თქვენც დამეთანხმებით,  
რომ მართლაც მიხა-დალაქი ყმაცა არის და მბრძანებელიც  
მთელი სოფელისა. ეს სხვა დროს დინჯად, დარბაისლურიად  
მოსიარულე კაცი იმ დროს სწორედ ცეცხლია!.. ტრიალებს,  
როგორც ჯარა, გადასდის ხეითქი, მაგრამ მაინც დალის, და-  
ფუსტუსებს. იქ პატარძალს ვირს უკაზეავს წყლის მოსატანად,  
აქ ბებრუხანას, ისედაც სისხლ-გამოფიტულს, ნეკის სისხლს  
ართმევს, იქ ბახჩაში ბალახს უთიბავს, აქ საფქვავს ატანენ  
წისქვილში და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ. ერთი სიტყვით  
ოფლში ცურავს. სამაგიეროდ დიდი უფლებაცა აქვს ჩვენს  
მიხა-დალიაქს მინიჭებული: საცა მივა, ისე განაგებს იმ სახლის  
თარო-გარცლს, როგორც თავის საკუთრებას. ვენახ-მოსტნებ-  
ში ისე დაიარება, როგორც თავის ნაფურიებში. აპა სცადოს  
და ხმა გასცეს ვინმე!

იგერ ინათა და მიხაც გამოჭიმულია დოინჯით მალლა  
სერზე, იქიდან დასკერის თავის სამულობელოს და ელოდე-



ბა: ამა საიდან დამიძახებენ, რომ იქნით მიეკუთხოვთ ასე  
ბრკუვრიალებს ამ სერიდან მიხას გვერდზე ჩიხოკიდებული  
ყბა-ამოქრილი ტაშტი, რომ კაცს მეორე მზე ეგონება. პა-  
ტარძლებმაც იციან ჩვეულებრივი მიხას სამეცელო კოშკი  
და დიღხხანს არ ილოდინებენ. მიიღებენ შებლზე ხელს და  
გასძიხებენ: „მამათილო, აქ ჩამობძანდი, წუხელის ვირი შეელ-  
მა დაგლიჯა და უწამლე რამე“. „ვაი, შენ ჩემო თავო!“ — წა-  
იბუტბუტებს მიხა-დალაქი და ერთ წუთს დანიშნულ ადგილს  
განადება. გადმოადაგებს თავის ჩანთა-მანთას, ამოჭმლის ჯი-  
ბიდან სააფთიაქოს და მერე წყნარიად, თითქოს „საიდუმლოს“  
ასრულებსო, შეუდეგება ოპერაციის. თან უჯავრდება, რატომ  
არ დამიძახეთ, როცა მგელი მოვიდერდათ, ერთი მეტაცნა  
იმისთვის ყურქებში ხელიო. მავრამ იმისთვინი ბეღნიერი წუ-  
თები, იმისთვინი შემთხვევა მთელი თავისი დიდების საწვენებ-  
ლიად, როგორიც მანდილოსანთა ბელადობაა (თვითონ მიხა ისე  
ეძახდა) სხვა არა იყო-რა მიხას სიცოცხლეში.

არ კი გეგონოთ, ვითომც მიხა-დალაქი მუქირის თითოთ,  
ან ამოღებული ხმლით მიუძლოდა მანდილოსნებს მოსეულ  
მტერზე რისხეის დასაცემად... არა... ის შედიდურად დარბა-  
ისლური ნაბიჯით მიუძლებებოდა იღლიაში ბოლჩა-ამოჩრილ  
პატარძლებს სოფლის ბოლოს, ვენახებისკენ ცერცი-მუხულო-  
ლობიოს მოსაკრეფად; ბეღნიერი იყო, ბეღნიერი ამ დროს  
მიხა-დალაქი! დღეს შას ჰქონდა \*ჩაბარებული მთელი სოფლის  
მანდილოსანთა პატიოსნება; დღეს იგი იყო გმირთა-გმირი,  
რომელიც ვინიცობაა შემთხვევას მოეტანა, უნდა გამკლავე-  
ბოდა ამოწვდილ სამართებლით, მარტოთ-მარტო... ვის? თვი-  
თონაც არ იკოდა - ვის!

— მიხა დალაქს გაუმარჯოს! — აძლევდნენ სალაშს გამვ-  
ლელ-გამომელელნი მანდილოსანთა ბელადს. მიხა ჯერ მარ-  
ცხენა თვალის ქუთუთოს აათაგაშებს ზევით, სიამოცნების ნი-  
შნად, მერე მარჯვენა თვალით გადახედავს მათ ისეთნაირად,  
თითქოს ეუბნება: „ვა, უკრა განზე დამცილდით, თორემ

ორივაზული

ხომ ჰედავთ ეის მოუძღვები, თორებ“... ბოლოს ჩაბეჭდებოთ და დაატანს ზედ გულზვიადად: „გავიმარჯოთ!“ დღეობა-ქორწილებში ხომ სწორედ ხელი-ხელ საგოგმანებელი იყო. ამალგაზედა ბიჭები მიწაზე ფეხს არ დაადგმევინებდნენ, სულ ხელიდან ხელში გადადიოდა ობოლი მარგალიტივით. ლედლის შემდეგ სუფრაზე ალაგი იმას ეჭირა; ლედლის შემდეგ კერძს მას მიართმევდნენ. ძალიან დახლოვებული და შეხუმრებულიც იყო მიხა ლედლთან. აბა მას შემდეგ რაშდენი ხანია, და წიოდელებს ახლაც არ დავიწყებიათ ერთხელ ალდგომის დღეს რომ უთხრა მიხა-დალიაქმა ლედლს. „ნერა, მამაო, ი ხემწი-ფე იმპერატორმა იმისთანა „უქაზი“ გამოსცეს, რომ მღვდ-ლებმა დღეის ამას იქით თავი და წვერი იკრიპოთო!“

— მერე შენ რაო? — ჰკითხა ლედლმა.

— იხა, მამაო, თქვენ რომ სხდასა ჰკრებავთ, ერთი მეც მენახა თქვენი ნაკრებიო. — მიუგო მიხამ. დაკურა ხალხმა ტაში და დაიწყო ხარხარი.

მარტო ლხინსა და წვრილმან საქმეებში კი არ იღებდა მიხა მონაწილეობას; არა, ის კირშიაც ყველას მამიდა იყო და ყველას კირისუფალი. იგრ სოფლის სასაფლაო მოფენი-ლია ხალხით და თვით საფლავები კი — ტაბლებით. მიხა-დალიაქიც აქ გახლავთ. ხან ერთ საფლავთან მივა და დაიზუზუნებს, ხან მეორესთან; თანაც ლურჯი ხელსახოცით თვალებს იწმენ-დავს. არ კი გევონოთ ვითომც ფლიდობით მოსდიოდეს ეს მიხას. არა, მიხა-დალიაქი და ფლიდობა?! მართალია, უნდა დაენახებინა ტაბლის პატრონისთვის: „აპა, მეც აქა ვარო“, მაგრამ ისიც სწორეა რომ მიხა-დალიაქს მართლა გული შეს-ტკიოდა მიცვალებულისათვის.

ზაფხულში, როდესაც ყოველი მამაკაცი მინდორში იყო სამუშაოდ, სიცოცხლითვე გამოტირებული ბებრუბანები დაუ-მარხავნი დარჩებოდნენ, რომ მიხა-დალიაქი არ ყოფილიყო. იგი მეწისქვილე ბერის შემწეობით გასთხრიდა საფლავს, შეუ-კვეთდა კუბოს, მოიწვევდა ლედლს და დიდის თავში ცემით



მოთქმითა და მოძახილით მიაბარებდა მიცვალუშეულაშეს მიაწის. მიხა მეწისკვილე ბერისთან მშათ იყო გაფიცული. პატარობაში, როდესაც ჯერ ისევ კოჭაობასა თამაშობდა, ბერისმ და იმის მოეწონათ ერთმანეთი და ძმობის ნიშნალ „წამწამი დანაყეს“\*). მას აქეთ არც უღალატნიათ ერთმანეთისათვის. სულითა და გულით უკვეარდა მიხას ბერი და ბერის მიხა დალაქი.. ერთ დღეს, რომ არ ჩისულიყო მიხა წისკვილში, ბერი საყვედურით ავსებდა:

— რა არის კაცო-და, დამივიწყე-და, აღარ მომხედე-და, იქნება კვედებოდე-და, არ უნდა მომხედო-და?

— სადა გაქს მოცლა: მე და ჩემთა ლმერთმა, რომ საქმეებისაგან თხებრუ მეხვევა; იქით მიდექ, აქეთ მოდექ, იქ წაზი, აქ წამოდი, და მეტი დღეც აღარ არი. ხომ იცი: იმოდენა სოფელია, და ერთი მე!— უპასუხებდა მიხა ფქვილისაგან თავიდან ფეხამდე გათეთრებულ ბერის.

შემდეგ დასხდებოდნენ წისკვილის წინ, მოიგონებდნენ თავიანთ წარსულს, გამოიტირებდნენ თავიანთ ჯეილ-ბიჭობას, აქედან გადავიდოდნენ იმაზე, თუ ამ შემოდგომაზე იმით სოფელში რამდენი ქორწილი იქნება, რამდენი დასამართლებათ და სხვა... მეტადრე ამ უკანასკნელში სწორედ გულთმისნები იყვნენ ოჩივენი. სულ თითებზე ჩამოგითვლიდნენ— რამდენს, ან რომელ ბებერს აქს სიკვდილის დრო. აქ მიხას ასალაც მოაგონდებოდა და ცრემლებით აეცესებოდა თვალები.

— ეჭ, დაგელოცა, ლმერთო სამართალი, ასი წლის ბებრები ცოცხლები არიან და ჩემი თინანი კი გვირგვინ ქვეშ გამომეტალა!— მოიჩიველებდა მიხა და მოჰყვებოდა ქვითინს.

მისი თინანი, მისი მშვენიერი თინანი, ბერის ნათლი-დედა თინანი! იმოუჯდებოდა ბერისაც გული და სლუკ-სლუ-

\*). „წამწამის დანაყეს“—ძმობილები თითო ბეწვს თვალის წამწამის გამოიძრობენ და ქვით დანაყვენ, ნიშნად სამუდამო ძმობისა.

კებდა. დიახ, მიხას ერთ დროს მეუღლე ჰყავდა და „გვირჩვინა მისა ქვეშ“ გამოეცალა, თუმცა ამაში კი სტუოდა მიხა-დალაქი: გვირგვინ ქვეშ კი არა, სწორედ ორმოცი წელიწადი ეწეოდა უღელს გურგენანთ თინანო ხეტელაანთ მიხასოან; მაგრამ ყველათქმის გაზიადება უყვარდა მიხას. ახლაც ისე არ გადა-ივლის სასაფლაოზე, რომ არ უსაყვედუროს თინანოს: „ადამიანო, რად დამობლე უდროოდ, რად დაშისხი ცეცხლ-ზე წყვილო“.

ეჭ, ნეტა იმ დროს, როდესაც მიხა-დალაქი თინანოს შექლირლიტებდა. რა ბიჭი იყო მაშინ და რა ბიჭი! თავზე მა-მალ ბუზს არ ისეამდა! „ორ გაშლილ ნაბადზე ვხტებოდა ხოლმეო“. კოხტო და ახლი როგორი კოხტო! არ ვიცი ეს რამდენად მართალია, არც მისი „ნახტომები“ ახსოვთ ვისმე, მაგრამ ის კი ყველამ იცის, რომ გოგოები მიხას მეტ სახე-ლად „გირვანქის“ ეძახდნენ და როდესაც ახლა თავის ეი-თომდა თავგადასივალს მოჰყვებოდა ხოლმე, ყმაწევილ კაცებ-ში, უცებ მოაგონდებოდა ეს გულსაკლავი სიტყვა: „გირვან-ქა“, გასწყვეტავდა ლაპარაქს და გაწითლდებოდა, თითქოს ქურდობაში დაიჭირეს.

ამ უკანასკნელ დროს მიხას კულავ აუფუნდრუნ კდა გუ-ლი. ტატილაანთ სოფიოს შერთვა მოინდოშა. ბერთ მაჭანკა-კალი იყო. საქმე საქმეზე იყო მიმდგარი, მაგრამ... მაგრამ... ეჭ, ნეტავი ეს კი არ მოაგონდებოდეს და! ახდიაც სირცხილით იწვის. მთელი სოფელი აყაყინდა. ქალებს, საცა კი და-ნახავდნენ მიხას, რომ არ გაეცინთ — არ შეიძლებოდა. ბი-კებმა შაირი გამოუთქვეს და მოხუცებულები ყურაში იგონებ-დნენ: „გაგიედა მიხა-დალაქი, სწორეთ რომ გაგიედა, თორემ სამოც-და-ათი წლის კაცს რაღა ცოლის შერთვის დრო იქსო“. ერთი სიტყვით — ძალიან აწყენინა შიხას სოფელმა; თუმცა განზრახვაზე ხელი ააღებინეს, მაგრამ მთელი ორი თვე გულ-ხელ დაკრეფილი ისეთი მწუხარე სხიოთ დაღიოდა, თითქოს



ტატალაანთ სოფიოც გვირგვინ ქვეშ გამოყენებულია „ეჭვიკ თუნდა შემერთო მე ის თინათინობას მინც არ მიზამდოა“, — დაატანდა ხოლმე მიხა, როდესაც ის მეგობარ პეროსთან ჩვეულებრივ გამოიტირებდა ხოლმე თინანოს. მერე ხმელის პურეთ და ცივი წყლით გაიგრილებდნენ გულს და გამოემშვი. დობებოდნენ ერთმანეთს. ნახევარ საათს შემდეგ მოჰყოფდა თაქს ისევ წიოდაში.


ასე და მგევარიად მიგოგავდა მისი ცხოვრები. ბეღნიერი იყო მიხა-დალიაქი: ის მთელ წიოდას უყვარდა და ბეღნიერი იყო წიოდა: ის მიხა-დალიაქს უყვარდა. მაგრამ ერთ ზამთარს მთელს წიოდას თავზეარი დაეცა: აღარა ჰყავდათ მიხა-დალიაქი, — ის სამუდამოდ გამოემშვიდობა წიოდას და გასწიო თავის თინანოსთან წიაღსა შინა აბრააშისა. ამ როგორ მოხდა ეს იმზევი:

შობის შინა დღეებში მხა როგორდაც ხაზმუზიანობდა, ამბობდა მკვალი მაღვისო. წიოდელებს ცოტა არ იყოს არა სჯეროდათ, რაღვან მიხამ ხშირად განებივრებაც იკოდა. უკელანი ბეღნიერი დღის მოლოდინში იყვნენ, ემზადებო დნენ მხიარულად შეტგებებოდნენ შობას. ამ ფაცი-ფუცში ის აღარავის გაპხლენებია. თურმე ამ დროს საწყალი მიხა კი თავის პატარა ქოხში, რომელიც სოფელზე ცოტა მოშორებით იღვა, სიკედილს ებრძოდა და, როდესაც პერომ კარები შეაჭრიალა, რათა თავისი მეგობარი. ხვალისთვის გოჭის თავზე დაეპატიენა, რა წარმოუდგა მის თვალებს! მიხას ფეხები თავთან მიუტანია, მოკრუნებულა და განუტევებია სული. პერომ კარგი ხანი უყურა გაშტერებული, მერე ხელი შეახო და ისე-თი დაიღრიალა, რომ ქოხის ვერმა ზანზარი დაიწყო. ერთ წუთს მთელს წიოდაში ელვასავით გავარდა ხმა: მიხა-დალიაქი აღარა გვყავს! რიგისა გამოდოდა მიხას ხახლიდან, რიგისა შედიოდა, რათა მისი ობოლი გვამისთვის ცრემლი დაეფრ-ქიათ. პერო კი ერთ წუთსაც არ მოშორებია მიცვალებულს.

პირეელი ქირისუფალი ის იყო უნათესავო მიხაილ და შეს ში-  
უტირებდნენ ხოლმე. დამარხეს მიხა სოფლის ხარჯზე. ან ვინ  
რას დაიშურებდა მისთვის; თავისი დღენი წიოდელების სამსა-  
ხურში დალია. ის თინანის ვევრდზე დაასაულავეს; ეს კი ბე-  
რომ მოისურვა ასე, იმ ბერომ რომელმაც უკანასკნელიად  
დაპქეითინა მიხას საფლავს: „გრუცევენოდეს, მიხავ. რომ არ  
შემატყობინე, როცა კვდებოდიო“.

მე იმას ოცი წლის ამბავს მოგაბენებთ. დიახ, მას შემ-  
დეგ ოცი წელიწადი გაეიდა და წიოდელებს დღესაც არ და-  
ვიწყებიათ საყარელი მიხა-დალაქი. ახლაც მანდილოსნები  
ისე არ ახსენებენ ჩას, რომ არ დაიზუზუნონ ტირილი — სიმ-  
ლერის ხმაზე; მამაკაცნიც, რომელთაც კარგა ხანია მოუმოვლ-  
დათ ნიკაპზე მიხას სამართებელით ღრმად გატანილი კვალი,  
ხშირად იგონებენ მას სინანულით და ზედაც დაატანენ: „ჰერ-  
და ოლმასო!“.

#### ი. ევდოშვილი





## ც ე რ ე

XI



რმა დღემ გაიარა, რაც შზირავილან თრბის  
ციხეში ფერო, დედაკაცები და ბავშვები გა-  
ისტუმრეს. დიღა იყო. ზაზა გალავნის ბურჯზე  
ფიქრებს მის ცემოდა.

— ნერა ვიცოდე, როდის მოედება ჩემ გათახსირებას  
ბოლო? ჩქარა, ზეციერო, ჩქარა! ან ივალ გაათავე ჩემი საქმე  
ან კარგად! განა შემეძლო სხვანაირად მოვქმედიყავ? — იძახდა  
გუნებაში მორბენილიძე. — მამას ვუყვარდი, მამა მიყვარდა და

იმის სახელის შებლალვა არ მოეინდომე. ის დამწიმეს, პასაკი მოიხდის მოვეპყარ. საყვარელში მამამ საყვარელი შეიღი სახლიდან გაძმობელო... — თვალშინ ახალ-გაზდა დედინაცვლის სახე წარმოუდგა. პოროტებით აღსავს თვალები ეუბნებოდნენ: რატომ არ დამყევიო, რატომ არ დამყევიო. ზაზამ მწარედ ამოიოხდა.

— ყველამ კარები ჩიმიკეტა, უველამ!... — დაიწყო ჩურჩული, — ყაჩილად გვიარდი. მაშ რა მექნა? უცხო მხარეში ვერ წავედი და მშობელ ქვეყნის ტყესა და ლრეს შევაფარე თავი. ექ წყველა-კრულვა ვირჩიე, სხვაგან ყოფნასა... ჩემი სახელი ლეთის ჩისხვად იქცა... მეფის ბრძანებით დევნა დამიწყეს... ჩემი თავი ათ სოფლად დააფასეს... ან ავად უნდა გათავდეს ჩემი საქმე ან კარგად! ყაჩილობას ველარ დაუუბრუნდები. დაე ისევ მოვკედე!.. ერთხელ ანგელოზმა გამილიმა და ისიც მაშინ, როცა ქრისტობისავან სული მიმწარდებოდა... ოთხ, ასი ქრისტობა, ასი, და ერთი იმისთვის ლიმილი კიდევ! — წამოიძახა თავდავიწყებით ახალგაზდა ვაჟვაცმა.

— ასჯერ ასი ამისთვის ლიმილი და არცერთი ქრისტობა! — გაისმა მორბენალიძის ზურგთუკან სიტყვები.

ზაზა გამოიწყვა, მოტრიალდა და ეფრო დაინახა. გაწითლდა.

— დილა მშეიღობისა, ბატონო! — მოახსენა ხნიერში მეომარში ლიმილით. — ცხენები ჩამოვრევეთ.

მორბენალიძე ძირს ჩამოვიდა.

— ჩამოხვედით? აბა, გაშ წიგიდეთ! — უთხრა შუბლშეკვრით ეფროს. — მოეილაპარავოთ, როგორ მოვიქცეთ.

შეომრები, ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ და ტენებს შემოჰვევოდნენ. ზოგი რას ჰყითხავდა ორბის ციხიდან მოსულებს, ზოგი რას. ოთხმოცამდე კაცი იქნებოდა შეიარალებული. ნადავლი ცხენები ყველასა ჰხედებოდა, ისე რომ საკმაოდ ძლიერი ცხენოსანი რაზემი გამოდიოდა; ამ რაზმით გამოცდილ უფროსს ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო.



— რას მეტყველით? — მიმართა მორბენალიძემ მულების უკან  
დაერჩით მზირავში თუ გარედ გავიდეთ?

— როგორც შენ დაინახო საქიროდ. — წიმოიყვირა ტუ-  
რავ და სხვებმაც ბანი მისცეს.

— შენ, ბატონო, — უთხრა ეფრომ ზაზას, — რაზმის უფ-  
როსობა უნდა გაგვიწიო.

— მაშა, მაშა! — იყვირა ცველამ ერთხმად. — ზაზა უნდა  
იყოს, ჩვენი უფროსი სხვა არავინ!

— რავი იგრეა, — სთქვა ზაზამ, — ტყეში უნდა დაცისხლ-  
დეთ. იქ უფრო თავისუფლად ვიმოქმედებთ. სამალიერებიც ბევ-  
რია. შეკაზმეთ ცხენები და წავიდეთ. ორბის ციხიდან მოსუ-  
ლი ცხენები იქაც კარგი დაისვენებენ.

თქმა და საქმის სარულება ერთი იყო: ნახევარ საათის  
შემდეგ ცველანი ცხენებზე ისხდნენ.

მზირავის გალავანი დაცარიელდა: რაზმი ულრან ტყისა-  
კენ გაფართო.

ეფრო ზაზას გვერდით მისდევდა.

— ბატონო ეს ხატი გამომატანეს! უნდა თქვენ გადმო-  
გცეთ! — მოხსენა ეფრომ მორბენალიძეს. — მზის დარმა ფერო  
ბრძანა, ვიცი ზაზა მეფეს ეახლება და ნუ დაიხარებს, ეს მაშა-  
ჩემს გადასცესო.

— ეს ფერომ გადმოგცა?! — იყითხა გაკვირვებულმა ზა-  
ზამ. — როგორ უნდა მოვახერხო ამისი სარულება? ცველამ ვი-  
ცით, მეფე მტერსა ჰყავს მომწყვდეული.

— ბატონო, ფეროს იმედი იქვე, რომ შენ მეფეს ჯარს  
მიაშეველებ.

— ჯარი მივაშეველო?.. ეს პატარა რაზმი?!

— ეჭ, ბატონო, მაგას რას მეუბნებით! განა ომანიძის  
საულენი არ იცის. რომ ამითი ვერას გახდები?.. მაგრამ საქმა-  
რისია ტყეებში მიმალულთ გაუხსენოთ ზაზას სახელი და შე-  
ნი პატარა რაზმი დიდ ჯარად იქცევა.

ზაზას დიდხანს აღარ უფიქრია. მალე დაათვასაზ დაუკიდებელი მოსაზრება და ცელქი და ტურა ისმო თავისთან.

— შენ, ცელქო, გაგზავნე აქეთ-იქით ტყევებში შენი ოთხი ამხანაგი, — უბრძანა მორბენალიძემ, — შენ თეითონიც წადი და აცნობეთ ტყეში გაფანტულს ჩევნ ამხანაგებს, რომ ზაზა გიბარებთ-თქო. შენ, ტურავ, საცა კი შეგხვდნენ შორი-დან გამოქცეული მამაკაცები, აუწყე, მეფის საშეკრიბო და ქვეყნის სახსნელად ჯარი სდგება და მონაწილეობა მიიღეთ-თქო... თავი კველის ვეფხვის ბუნაგოთან მოუყარეთ, შენც ცელქო და შენც ტურავ, იქ იქნება ჩევნი მთავარი ბინა.

ვეფხის ბუნაგი ეს ის გვირაბი იყო, საიდანაც ზაზამ, ოთხის დღის წინად, ნაბდები და მეღლის ტყავები მოატანინა თავისი საოშარი ხრიკისთვის.

ცელქი თავისი ოთხი ამხანაგით და ტურა დაწინაურდნენ და მსწარი თვალს მოეფარნენ. ჩაზმი ვეფხვის ბუნაგისაკენ გაემართა.

## XII

ომანიძიანთ ტბის დასავლეთოთ მდებარე ტყეში, ერთ მივარდნილ იდგილას, სამი ადლის სიმაღლეზე მიწიდან სალ კლდეს ამოვყო თავი. კლდეს ხშირი ხავსი ჰქონდა მოკიდებული და პატარა ბუსნოს დამსგავსებოდა. გარს ტევრი შემორტყმოდა და შორიდან სრულიად არა სიანდა, სანამ კაცი ზედ არ მიადგებოდა. კლდის ქვეშ ხერელი იყო გაკეთებული. შესავალს თავში ერთი ადლი სიმაღლე და სიგანე ჰქონდა, მეტე კი თანდათან ფართოვდებოდა და კარგა მოზრდილ ოთახში შედიოდა. ოთახს აამდენიმე კარი ჰქონდა კედლებში დატანებული და ამგვარად სხვა-და-სხვა ზომის ოთახებს უერთდებოდა. წინად თურმე იქ ხერელის მეტი არაფერი ყოფილიყო. ხერელში ვეფხი ბუდობდა. ზაზა შემთხვევით წასწყდომოდა ხერელსა, მოეკლა ვეფხი და თეითონ დაეცო ბინა. ოთახები ზაზას შემდეგ გამოეკვეთნა ამხანაგების დახმა-



რეგისტრი. ამ სწორედ ამ აღვილას უნდა მოყვარით დაუფლებული იქნას, ცულქა და ცულქის ამხანაგების მიერ მოწვევულ იხალ მეომრებისა. აქ დაიბანი კერძოდ მზირით დაუმოსულებმა და იქვედან დაიწყეს მოქმედება: ოშანიძის ტყე მტრის მოთარეშე რაზმების სამარედ იქცის. ზაზა თავის რაზმით შურის მაძიებელ ანგელოზივით ევლინებოდა დაუპატივებელ სტუმრებს და ანადგურებდა. ვეფხის ბუნიაგი იცსებოდა საომარი იარაღით და სანოვავითა. ზაზა მორბენალიძის სახელი შორის გავარდა. მშირავის რაზმი სწრაფად იზრდებოდა: ერთ კვირაში ათას კაცს გადააკარა. ზაზა ხელავდა ამას და სისამართლის მიერ ცნებით.

— ერთი კვირი კიდევ, ერთი კვირა. — იმათვის მიმართ მოახდენ, — და ჩემ ხელქვედათ საგრძნობელი ძალა მოიაყრის თავს.

— ბატონო, განა დრო არ არის წინ წაწევისა? — მოახსნა ერთხელ ეფრომ. — მტრის რაზმებმა ფეხი ამოიკვეთეს, აქეთ აღარ მოდიონ და სხვა აღვილებს აოხრებენ. წაეიდეთ, ხელი შეკუშლოთ. გზადაგზა, დარწმუნებული ვარ, უფრო ბევრი ხალხი შემოვიდერთდება და მაშინ ჩენ შეძლება გვეკნება მეტესაც მაღლ მიეკველოთ.

ზაზას კიდევ კეუაში დაუჯდა ჟურნას რჩევა, აღარ დაახნა, ბრძანება გასცა, ყველანი საგზაოდ მომზადებულიყვნენ და შერჩე დღესვე გაუდგა თავისი პატირა ჯარით გზასა. ეჭროს სიტყვები ასრულდა. ზაზას ჯარი არა ჩვეულებრივად გაიზარდა და საგრძნობელ ძალად იქცა.


მაღლ ქვეყანაში იცოდა, რომ შეფეხს მაშველი ჯარი მოსდისო. სხვა-და-სხვა კუთხეს გაფანტულმა მტრის პატირა რაზმებმა ანგებს თავი თარებულბის და თავის მთავარ ბანაკს დაუბრუნდნენ. შორის წასელის კელია შედავდნენ. მტრის მთავარსარდალიც შეფიქრიანდა: მორბენალიძის მარჯვე მოქმედებით ჯარი უწყდებოდა, სურსათი ელეოდა და ველი.

შოულობდა, წასკლას კი მაინც ჯერ არ აპირობდა მარტინებისა. ჰქონდა, რომ მეფეს დღეს თუ ხვალ ჯარიანად დაატყვევებდა. მაგრამ მოსტყუვდა, ბედი უკულმა დაუტრიალდა: ერთ ღამეს ძილში რაღაც ხმები შემოესმა და გამოიღია, ურა დაუგდო და იშეარად გაიგონა: „ავაფოთ, ბიჭებო, ავაფოთ!.. დავჩებოთ!.. არ შეიწყნაროთ!.. ბიჭებო, მტერს დედა ვუტოროთ!.. ბიჭებო, მტერს დედა ვუტიროთ“!.. სიტყვები ერთი ადგილიდან შეორეში ელვის სისწრაფით გადადიოდა და ზედიზედ მეორდებოდა და თან ჩახა-ჩუხის ხმა მოსდევდა. შეძრწუნებული მთავარსარდალი კარვიდან გარედ გამოვარდა და თავის ჯარის სადგომები ცეცხლით განათებული კი დაინახა: ცალკე ზახა დასცემდა, ცალკე გზამოკრილი შეფე გამოსკრიდა თავის ბანაკიდან და ჯარს უმუსრავდნენ. საქმის გამოსწორებას შეეცადა მაგრამ გვიანდა იყო, ველარა გააწყორა.

მტერმა მეფეს ზურგი უჩვენა.

### XIII

მზირავის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ერთი დღის სავალის მანძილზე, მაღალი მთა ამართულიყო; დაქანებული კალთები უშეელებელის ხეების ჯავშნითა ჰქონდა დაფარული და თავის მოშიშვლებული მწვერვალით ცაში მაცქერალ მუხარად მოხდილ დევგმირს დამსგავსებოდა. მთას ორთანას ეძახდნენ. ორთანას ჩრდილოეთის კალთა ჩრდილოეთით მდებარე მაღალ მთებს უერთდებოდა, დანარჩენი კალთები კი ორ მოუსკენარ მდინარეს შემოესლუდა და ჩვენი მთა დასავლეთითა და აღმოსავლეთით ჩამომწკრივებულ მოქმედებს დაპშარებოდა. სამხრეთით კალთის წინ მდინარენა, ერთმანეთს ჩაჰეთი და შორის მხრისაკენ მიეშურებოდნენ. შესართავთან ტყე ცოტა მოსცილებოდა მდინარეებსა და პატარა ველისათვის ადგილი დაეთმო, ველის ნაპირი წყალს შემოეხამა, შემოეკუწუბებინა და გაემალებინა.



— რა კარგი ჩწვინეა! — გიოსმა წკრიალა ხმა უდიშტყოდინეა  
ველზე ახალგაძლა ქალმა მხედარმა ცხენი გამოახტუნა.

შვავშა თავზე გადაუარა და დასჩხავლა.

— შენ კი არა მე ვარ შენი ბედის წერა! — შესძახა ქალმა  
და უკან ისარი დაადევნა.

ფრინველი წყალში ჩავიარდა.

— ვგრე გინდა! — მიუგონ ნიშნი ქალმა და შესართავის  
ნაპირს მიუახლოოვდა. თვალი წყლის დენის გააყოლა.

— საით, უდარდელნო მთის შეიღნო, საით? — გადასძა-  
ხა მდინარეთ. — თუ იქით მიხვალთ, ჩემი სალამიც წაიღეთ და  
მოახსენეთ... დავით ომანიძის ასული გემუდარებათ... ნეტავი  
უკან გამობრუნვდაც შეგვეძლოთ, რომ პასუხი მომატანოთ!

— ბატონიშვილო! ბატონიშვილო! — გიოსმა ტყეში ძაბი-  
ლი.

— ღმერთო ჩემო, რა გულს აწყალებს ეს გიგი! — წარ-  
მოსთქვა უკმაყოფილოდ ომანიძის ასულმა. — თავისუფლად ვერ  
ამომისუნთქია. ფეხი ვერ გადამიღვაშს. უთუოდ უკან უნდა  
ამედევნოს. ვან მომიტაცებს?! ჩემი მოიულურა რას აკე-  
თებს?! — ფრიომ ცხენს კისერზე ალექსით ხელი დაჰკრა. — ისე  
დაექანება მთის აღმა-ჩალმა ვიწრო ბილიკებზე, როგორც ჯამ-  
ბაზი!

— ბატონიშვილო!.. ბატონიშვილო!.. — მოედო კიდევ  
არემარეს ძაბილი.

— არ ვაგცემ ხმასა, არა! — წამოილიპარაკა კერპულად  
თავისთვის ფერომ.

— ღმერთო! რაღა ვქნა, რომ დაიკარგოს!.. ბატონს რა-  
ლა პასუხი ვავცემ? — მოაწია შესართავამდე სიტყვებმა.

— გამოტვინებული!.. რომელი ალუცა მე მნახა, რომ  
დაეიკარგო! — სთქვა წყნარად ქალმა და ცხენიდან ჩამოვი-  
და. — რომ მოკვდეს ხმას არ ვავცემ! რამდენიც უნდა მედე-  
ბოს.

ფერომ ცხენი ხეზე გამოაბა, თვითონ კი შესართავდეს წარმარტა  
პირის წამოწყო და სივრცეში ცქერა დაიწყო.

— ე თინაონმ ხომ მომიღნო! — განაერძო ქალმა ლაპა-  
რაკი. — სულ იმას გაიძიხის: უი, შეილო, სად მიწვილ! უი,  
შეილო არა დაგემართოს რა!.. სად მივალ და იქ სადაც მე  
მსურს.

ფიქრებმა გაიტაცეს. თვალწინ ზედიზედ გაუარეს ორი  
თვის განმავლობაში ნანახმა ამბებმა. მოაგონდა მაისის დილა,  
კვნესა თხილნარში, დაჭრილი, შამრს ომში წასვლა, იებიან  
ჯავშანში გამოწყობილი ჭაბუკი და მძიმედ ამოითხრა. გულმა  
ლონება დაუწყო.

— მკაცრად მოვეძელი ზაზასა, — სოქვა თავის გუნდებაში  
ქალმა. — სხვის ნალაპარაკეეს ავყვეი... რა გამოვიდა?.. ეგაც  
რომ არ ყოფილიყო მამაჩემი მაინც ყაჩალს არ მიმცემდა...  
მერე ამ ყაჩალმა ამოღენა ხალხი რომ გიდავგარჩინა? მერე ამ  
ყაჩალმა მეფე რომ იხსნას?.. შაშინაც იტყვის მამა უარსა?..  
ეს, ვინ იცის, ბედი რას მომიტანს!.. ვინ იცის, შავები ჩა-  
ვიცეა!.. ორი თვეა არც მამისა ვიცი რამე და არც იმისი...

— ოჲ, ღმერთო, ძლიერ არ გიპოვე! — გაიგონა ფერომ  
სიტყვები.

თავს ვიგი წამოსდგომოდა.

— რა არის, ვიგი, აღარ მასვენებ! — უახრა წყრომით  
ქალმა.

— ნუ მიჯავრდები, ბატონიშვილო! მოიანობაა. ბატონშა  
შენი თვეი მე ჩამაბარა. ასე მითხრა, ჩემ ქალს მამის მაგივ-  
რობა გაუწიეო. რომ დაგემართოს რამე, რაღა პასუხი გაეცე?

— ორთანაზე მე არა დამემართება-რა. გამეცა თავი და-  
მანებელი..

— ვინა ხართ? ეპეი მანდა? — დაიძახა ვიღამაც გილმიდან. —  
ერთი მითხარით, უონი საით არის?

— ფონი? ზევით წამოდი! — დაუყვირა ვიგიმ. — აი მუხა  
რომ დგას, იმის გასწერივ შემოდი წყალში!

უცნობი გამოვიდა წყალსა და ფეროსა და გვეტავერზეა  
მოსწია. მხრებშე ნაბადი პქონდა წამოგდებული და ნაბდის  
ქვეშ იღლიაში რაღაც ეჭირა.

— ვინა ხარ? საიდან მოდიხარ? — ჰყითხა გიგიმ ახლოს  
მოსულს უცნობსა.

— მესტვირე შენი ტირიძე! — გიისმა პასუხიდ. — ქვევი-  
დაშ მოვდიდარ, ქირთლი მოვიარე და ახლა აქეთ წამოველ.

— ომის ამბავი გეცოდინება? — შეეკითხა აჩქარებით ფე-  
რო.

— როგორ არა, ბატონი: — უთხრი დაბლა თავის დაკვი-  
რით მესტვირემ, რაյკ დაინახა, რომ უბრალო აღმიანთან,  
არა პქონდა საქმე. — ლმერთმა დიდი ხნის დღვერძელობა მის-  
ცეს!.. მეფემ გაიმარჯვა.

— მეფის სარდლების ამბებიც გეცოდინება?.. დავით ომა-  
ნიძისა ხომ არა გაგიგია-რა?

— დავითის ქალი თუ ბრძანდები ბატონი? — შეეკითხა  
მესტვირე.

— სწორედ რომ დავითის ქალი ვარ.

— ბატონიშვილო, მამაშენი ახლა მტრისა სდევს. მეფემ  
უბრძანი, ჩემ საბრძანებელში მტრის ერთი კაციც აღარ გა-  
უშვიო.

— წავიდეთ ორბის ციხეში. — უთხრი ფერომ გიგის. — ეს  
კაცი მშიერი იქნება, პური ვაკამოთ.

ქალი მსწრაფლ ცხენს მოახტა და გზას გაუდევა. მესტვი-  
რე გაშტრერდა. პირი გააღო; ასეთი სიმკვირცხლე ქალისა ჯერ  
არ ენახა.

— წამო, მობილო! — წაპკრა გიგიმ ხელი.

— მართლა რომ სადედოფლო ქალია. — წამოიბურტყუ-  
ნა მესტვირემ თავისთვის. — მეფის შეილი არ წააგებს.

— რას ბურტყუნებ კაცი! — დაუყვირა მომმინებ დან  
გამოსულმა დავით ომანიძის მსახურმა და ხელი ნაბადში წაავ-  
ლო. — წამო რაღა!

— მოვდივარ, მოვდივარ, კაცი!.. ეი! რატო ჟყრჩე-ჟეწენა  
ვი! ამა თუ აგრძა მაშ მომყევი!

გიგი და მესტვირე ტყეს შეერივნენ.

### XIV

ორთანას შიშველი მწვერვალი შორიდან მომრგვალო  
შაქრის თავს წააგავდა. მაგრამ იხლოს რომ მიხვიდოდი ცო-  
ტა სხვა სახით წარმოგიდგებოდა: სამხრეთი ნაწილი შეზნე-  
ქილი ჰქონდა და ტყისაკენ ღარივით ეშვებოდა. ღარის მარ-  
ტხნა გვერდზე კაშევით შემორგვალებული უშველებელი  
კლდე წამოწეულიყო წინა. ეს იყო აგრეთ წოდებული ორ-  
ბის ციხე, სადაც იმალებოდა ომანიძის ასეული. კლდეში სამ  
რიგად გამოქვაბულები მოსჩანდა. ქვევითი გამოქვაბულები ზე-  
ვითებთან კიბეებით იყო შეერთებული. ღარის მარჯვენა გვერ-  
დიდან მარტხნისათვის რომ შეგვხედნათ, გამოქვაბულები  
თავისი წინ წამოწეული ბაქნებით ორბის ბუდეებს მოგავო-  
ნებდათ. ნამდვილად კი გამოქვაბულების შესავალში აღამიანი  
თავისუულად იმართებოდა და დაუხხრელად შედიოდა თვით  
გამოქვაბულში. თვითოვეული გამოქვაბული კარგა ბლობა  
ხალხს იტევდა და კაი საფარსაც წარმოადგენდა ლტოლ-  
ვილთათვის. ორი მოზრდილი გამოქვაბული ფეროს ეჭირა,  
დანარჩენებში სხვა გამოქუცეულები მოთავსებულიყვნენ. ორ-  
ბის ციხის წინ გვერდა გვევაკებინათ და პატარა მოედნად  
გადაექციათ.

დღე უკვე მიწურულიყო, როცა ამ მოედანზე გიგი და  
მესტვირე გამოქვაბულიდან შეზარხო შებულნი გამოვიდნენ.  
გარს ბავშვები შემოჰქვევოდნენ და მესტვირეს ელიჯინებოდნენ,  
სტვირი დაუკარ, ზაზას ლექსი კიდევა სთქვიო. გიგის ხელში  
საღვინე და პატარა ყანწი ეჭირა და ხან თავის იმუსონს სთა-  
ვაზობდა, ხან თეითონ ეწაფებოდა.

— კარგით, თქვე ქინქლებო, თქვენა! — დაუტატანა მესტვი-  
რემ ბავშვებს. — არ დამაცდით, პატარა გემრიელად დავლიო?



— ძია, ძია, ძია! ერთი კიდევ! ერთი კიდევ! ჩამოსული ბოლნენ მაინც ბავშვები.

— მოდი აქ ჩამოესხდეთ! — მიუთითა გიგიშ მესტვირეს მოედანზე დაგდებულ გძელ ქვაზე. — ერთი აი იმ ბებრულუნა თინანოზედაც, თქევი ლექსი.

თინანო ფეროსთან ერთად გამოქვაბულის შესავალში გაჩერებულიყო და რაც მალი და ლონე ჰქონდა ამთქნარებდა — ძილისთვის თავი უკვდებოდა, გიგის სიტყვებს ყური მოჰკრა და ქოქოლია მიაყარა.

— შენ კი დაგედოს გულზე ეგ ქვა, აი ზედ რომ ბაიუშივით ჩამოსკუპდი! — დაუძახა დამცინაეს გაჯავრებულში გადიომ.

— უემურისა შეგილოცა აი! — უთხრა მესტვირემ გიგის და გუდას ჩაბერა; ქარალზა მოიმარჯვა და აღიღინდა.

დედაკაცებმა გამოქვაბულებიდან თავები გამოჰყვეს. ბავშვები დაწყნარდნენ. მესტვირემ დაიწყო:

სტვირო, დაუკარ, დაუკარ,  
ქვეყანას თავი დაუკარ!  
თინანოს სიტყვა გაუკარ,  
მარცხენა თვალი ჩაუკარ.

გამოქვაბულის შესავლებიდან სიცილ - ხარხარი გისმა; ბავშვებმა კირინა დასკეს, თინანომ კიდევ ხოტბის მთქმელს ჩეეულებისამებრ ქოქოლია მიაყარა და გამოქვაბულში შებრა-ცუნდა. თინანოს მერე მესტვირემ კიდევ რამდენიმე დედა-კაცი შეაქო, ცოტაოდენი გიგისაც მოარტყა და ქარაზლა დაასევენა.

— ახლა ზაზასი თქვი, ახლა ზაზასი! — აუტყდნენ ხელ-მეორედ ბავშვები.

— დაიცით, ჯერ ლვინო დავლიო. — უპასუხა მესტვირემ და ყანწი მოიყუდა. — ესე მტერი დაგეცალოს, ბატონიშვი-

ଲା!—ଦାଉୟୁଗରେ ଯେହିମୁଖ ଓ କୋରକ୍ଷେତ୍ର ମହିମାପଦ୍ମମହାଯାତ୍ରା  
ଦ୍ୱୀନିଲ ପ୍ରଶର୍ଣ୍ଣଲୀ ଦାବୀବସ୍ତ୍ରା.

— ଶାଶବିଦ ତଥୀ, ଶାଶବିଦ!—ଗାୟମେଳରେ ନନ୍ଦରେଖମା.

ମେଲେତ୍ରପାଠୀରେ କିନ୍ତୁ କାଳିଦେବ ଗୁରୁତବ ଓ ଉତ୍ସବ:

ବାଜନୀ! ବାନ ବାଜନୀ!.. କା ବାଜନୀ!

ମହିମାପଦ୍ମମହାଯାତ୍ରା ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ!

ନନ୍ଦବିଦ ସାହେବ ସାଧମିଳା

ମହିମାପଦ୍ମମହାଯାତ୍ରା କାଳିଦେବିକାରୀ!

କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରର ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ—

ନନ୍ଦବିଦ ନନ୍ଦବିଦ ତଥାରାଜା!

ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ,

ନନ୍ଦବିଦ ନନ୍ଦବିଦ ମହିମାପଦ୍ମମହାଯାତ୍ରା!

ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠବାଜନୀ, ନନ୍ଦବିଦ ନନ୍ଦବିଦ!

მეფე დაიხსნა ზაზამა,  
კინ არის იმის დარია?  
ქვეყანას ჭირი აშორა, კ მოუტანა მეფე  
ყველას დაუდგა დარია. თვითუნ არ მოუტანა  
— არა მაგრა მოუტანა მაგრა მოუტანა და —

— მესტვირე იძახდა, ბაჟშვები კიდევ გატაცებით ყურს უგ-  
დებდნენ და ვერა ჰედავდებენ ღამე როგორ ქურდივით ეპა-  
რებოდათ.

— გიგი! — დაიძახა გამოქვაბულის შესავლითან ფერომ. —  
ხეალ მთაში ცხენები მონახე და ზეგ შინირავში წაეიდეთ, დრო  
არის. საშიში აღარაფერია.

— მესტვირემ გუდა გვერდე გადასლო. ბაჟშვები დაშალ-  
ნენ და პატარა მოედანი ერთბაშად დაცარაელდა.

გიგიმ მესტვირე დასძინებლად წილყვანა.

უერო მოშორდა გამოქვაბულის შესავლის და მოედანზე  
დაგდებულს ქვაზე ჩამოჯდა. ჭალს სახე მოჰბურვეოდა. გული  
უკენესოდა. მესტვირემ, კარგ ამბეჭთან ერთად სხვა რამეც  
უაშ्चო, რომელმაც ძალიან დააფიქრა: მეფეს ომარიძისათვის  
ასული ეთხოვნა საძლოდა. ეს ამბავი გულს ისარივით დაესო  
ქალსა. მეფის წულის ცოლობა არ იხარებდა.

— არა, არა და არა! — წამოიძახა გადაჭრით ფერომ ცო-  
რა ხნის მდუმარების შემდევ და თან გადიას მზეთუნახავის  
სიტყვები განიშვონა. — მე ის უნდა შევიტოთ, ვინც თავის  
ბეჭი თვითონვე გამოსტედა... მეფის შეილს რაც აქვს, მამი-  
საგან იქვს.

მავარე ამოვიდა და ორთანას მწვერვალზე ალავ-ალავ  
საიდუმლო ბინდ-ბუნდშა დაწყო თაშაში.

ფერომ გულგრილად გადაავლო არე-შარეს თვალი.

— არა, ჩემთვის მთვარე ჯერ აღარ ანათებს! — სთვა  
ამოოხერით ომარიძის ასულმა და გამოქვაბულს მიაშურა.

## XX

მეფის სასახლის გალავანთან აუარებელი ხალხი მოგროვილიყო და ბუზივით ირეოდა.

— სად მოიბრძეი, რომ მოიბრძეი, ადამიანო?! ხომ ხელავ ამ ზღვა ხალხთან ვერას გახდები! — დაუტია ვილაშაც ერთ ხნიერ მანდილოსანს.

შეენებულ მანდილოსანს საგრძნობელი სიცრცე სჭირდებოდა და, საითაც კი მიტრიალდებოდა, უნებურად ყველას ერთმანეთს მიახლ-მოახლიდა ხოლმე.

— კამები ხარ, თუ რა ხარ, შე მამა ოხერო? — დაუყვირა ახლა მეორემ. — რა ღმერთი გავიწყრა! კინალამ ფეხი არ მომტეხე!

— ბავშვი, ადამიანო, ბავშვი! — უთხრა ძაბით, მოსილმა ახალგაზდა ქალმა.

— მერე და ბავშვი აქ რათ მოგიყვანია? — გამოეკამათა მოთმინებიდან გამოსული ხნიერი მანდილოსანი. — ქალს დამიხედეთ, ჯერ ქმრის გვამი რიგიანიდ არ გასცივებია და ბავშვით სეირის საყურებლიად გამობრძანებულა. შენ უნდა ფარდა ჩამოშვებულს ხახლში იჯდე და გარედ თავს არა ჰყოფდე.

— უი შენს თვალებს! შენ მე უნდა მასწევლო ჩემი მიკალებულის პატივისცემა?.. ქვეყნის მხსნელის ნახვა, არა კისთვის ხაძრახისი არ არის. მეც უნდა ვნახო და ჩემმა პატარა ბიჭუნამაც. დევ კარგა დაიხსომოს, როგორ პატივით ეპურობიან სამშობლოსათვის თაედადებულ ადამიანს...

— მეფის სამხახლო, მეფის სამხახლო! — დაუყვირეს ხალხი. — დაეით ომანიძეს გაუმარჯოს, დაეით ომანიძე!

— ეჭე! მოლალატეც დაუკერია! — გიოსმა ბრბოში ხმა. — ჩავჭოლოთ, ხალხი, ჩავჭოლოთ! მაგის წყალობით ბევრი დედა ატირდა და ბევრი დაობლდა.

ხალხი მომავალს ომანიძეს წინ გადაეჭობა და მოლალატე მოსთხოვა.

— გზა! — დისკუსიელი დავითმა. — წარჩინებულის გუცისმ  
შეილია და მეცეს უნდა მივგვარო. ვინ ბედავს და წინ მე-  
ლობება?

ხალხი გატირვეს ულდა. ომინიძეს საქმე გაუტირდა.

— იებითი მხედარი! იებითი მხედარი! — წამოიძიხ ხალც-ში ვიღამაც. — ზაზას გაუმარჯოს, ზაზას!.. დლეგრძელობა ვაკ-კაკს, დიდი ხნის სიცოცხლე!

ხალხში თავი ანება მოღალატეს და ზანას გადაეცება. ყველა ცდილობდა ქვეყნის მსხვერი ახლოს დაენახა, ხელით შეჭრებოლა.

მორბენალით ნელ-ნელია მოიწევდა წინა, უკან ეფრთ,  
ტურა, ცელქი და მზირავში შედგნილი რაზმი მოსდევდა.  
ყველას ამაყად თავი ეჭირა: თითქოს აშპობდნენ: ჩეუნც გვი-  
დევს ზაზას საქმეში წილიო.

— მზირაველები! მზირაველები! — ყვიროდა ხალხი — მა-  
გით სულს ვენაცვალეთ ყველანი, მაგით სულსა!

მორბენალიძეს ეს გულუბრყვილო ზეიში თუმცა ახარებდა, მაგრამ მაინც გუნდებაზე ვერ იყო კარგი. ვაჟკაც სახეზე სევდანაზრევი ღიმილი უკრთოდა. ხალხმა მალე შეაჩნია თავის სათაყვანებელის იდამიანის დაღვრებილობა და გულში ჩასწედა, დაწყნარდა და მძიმედ მომავალს მორბენალიძეს სასახლისაკენ გზა მისცა.

— გული იქვე, გული, დაკოდილი! სთქვა ერთმა მოხუცებულმა.

— ლმერთმა გოუმთელოს! ქვეყნის სსინისათვის საბადო  
მიუღმიანის. — გაისმა იქნეთ-იქიდან.

ზანა თავის რაზმით სახისძლის გაღრმავნში შევიდა. სახის-  
ძლისა და გალავნის კედლის ახლოს უზარმაზარი ხეები ამარ-  
თულიყვნენ და იქაურობას შეის შეურევალე სხვებისაგან იფა-  
რებდნენ. ხეების ჩრდილში დიდებულებს მოეყარათ თავი,  
ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და მეტის მოლოდინში მას-  
ლაათობდნენ, ყინმე პირბადე აფარებულ მოლონზენს აძგა

გადაეციდა მხარზე და ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა: ფასტიური გადაეციდა აღილებდა.

ზაზას მოსცლამ დიდი ჩურჩული გამოიწვია.

— ამბობენ, ამ ყმაშვილს ძალიან დააჯილდოვებს მეურა. — წასჩურჩულა ომანიძეს ერთმა დიდებულმა.

ომანიძე ხეს მიჰყუდებოდა და მოუთმენლად ელოდა, როცა მოლალატებს თავიდან მოაშორებდან ენ.

— აბა რაღა თქმა უნდა, ჩემო შანშე, დააჯილდოვებს. — უთხრა შემკითხვევლს. — ეგ ყმაშვილი რომ არ ყოფილიყო, დაეიღობოდით. ლმერთს მადლობა უნდა შევსწირო: რაზე სასიკვდილოდ დაესკრიდი და მთელ ქვეყანას ყელს გამოვჭრი. დი! — ომანიძემ ძირს დაგდებულს ხელებ-გაკრულ მოლალატეს ჩინდით გადახედა და თან მოწიწებით პირჯვარი გადიწერა.

— რა მშეენიერ საჭურველში ჩამჯდარი! — წამოილაპარაკა ალტაცებით შანშედ წოდებულმა. — რა ნაირი უხდება მერე!

— ჩემ სალაპორტან არის გამოტანილი. — განუშარტა დავითმა. — მეტი წილი მზირავის რაზმისა ჩემ მამულებიდან არის. იარაღიც სულ ჩემია. ჩემი ფეროს განკარგულებით გამოუტანიათ. — თავის ასულის ხსნებაზე ომანიძეს სხევ გაუბრწყინდა და სახიდან გამონადენმა შეუქმა ჭალარა აუბზინა.

— რას იტყვი, დავით, მამუკა აპატიებს შეილსა?

— მე შორინი... ცოტა იტანჯა კაბუკი? საკმარისია.

— მამას რომ აქამდე ხვა არ გაიუცია? აგე მამუკა ახლაც აქ დატრიალებს და შეილს სულ პირს არიცებს.

— მეფე მობრძანდება! — აუწყა კარის კაცმა დიდებულთ.

სახახლიდან გალავანში ჭალარა გვირგვინოსანი გამოვიდა. თან დედოფალი, მეტკვიდრე, ქალები და რამოდენიმდე წარჩინებულნი გამოჰყვნენ.

ზაფხულის დღე იყო და მეფეს უნდოდა გარეთ გადაეწარზარზა ზეიმი ქვეყნის მასწელისთვის. გალავანში უშეელებელ



ხეების ქვეშ საგანგებო ტახტი დაეჭიადებინათ. უმავაროსობა  
ზე აბრძანდა.

— დავით, მეფე გიბრძანებთ! — აცნობეს ომანიძეს.

ომანიძემ გვირგვინოსანს ხელებ გაკრული მოლალატე  
მიჰვეარა.

— არა, დაეით! — ბრძანა წყნარად მეფემ. — ჯერ ქვეყნის  
ერთგულნი დაეაჯილდოეთ და ქვეყნის ორგულისათვის მერე  
მოვიცალოთ. მომიუფა ჭაბუკი მორბენალიძე თავისი რაზმით  
და მეგობრებით.

დავითი გაემართა ზაზასკერ წაავლო ხელი და წიმოიყვა-  
ნა. რაზმაც ანიშნა გაჰყოლოდა.

მადლიერმა მეფემ პატიოსახი თელებით შემკული, თავის  
ნაქონი ხმალი ჩიმოჰკიდა ზაზა მორბენალიძეს და თან წყა-  
ლობის სიგელი გადასცა.

— ამა, შენ შეუძლე შეცოდებანი შენს შეიღსა სამ-  
შობლოს გულისათვის. — მიშართა მეფემ მამუკა მორბენალი-  
ძეს. — რაც უმაწვილობით მოუკიდა უნდა ეპატიოს.

ამ სიტყვების გამგონე ზაზა აენთო.

— არა, მეფეო! — წამოიძახა ალშფოთებულმა. — მე მამი-  
ჩემისაგან საპატიობელი არაფერი მაქვს! მე ცილი დამწამეს...  
თავის ზრახევნი მე მომაწერეს.

— არა, სტუუის... — დაიწყო მამუკამ.

— არა! — შეაჩერა ხელის განწევით პირბადიანშა მოლო-  
ზანშა. — ზაზა მართალია, ცილი დასწამეს.

ყველანი გოლუნქ.

— ვინა ხარ? — შეეკითხა მეფე მოლოზანს, — ან შენ რა  
იცი ამ საქმისა?

— მონაწილე გახლავარ, მბრძანებელო ამა ქვეყნისა! —  
უპასუხა მოლოზანშა და პირბადე მოიშორა.

— მზირო! — წამოიძახა მამუკამ.

— მამუკას ცოლი! — წამოიძახეს დიდებულებში.

მეფის წინ იდგა ჯერ კიდევ ახალგაზიდა, მაგრამ უკეთ სახე დაღარული ქალი. ეტყობოდა დიდი სულიერი ბრძოლა განველო. ცის დარს თვალებში განუსაზღვრელი სევდა ჩა-ჰკუდომოდა.

მამუკა აზრს ვერ მოსულიყო; სამი თვე იქნებოდა, რაც სახლ-კარისათვის თავი დაენებებინა, უალი შან ვეგულებოდა და აქ კი მოევლინა მოლოზნად... ვეღარა აწიმა-რა.

— მზირო! — წამოიძახა ერთხელ კიდევ და ხმა ჩაუ-წყდა.

— დიან, მზირო! — სთვე, მოლოზნამა და მეფეს მიმირ-თა. — ისპინე, ჩვენო პატრიოთ, ჩემი აღსარება: სულ ახალ-გაზიდა ვიყავი, როცა მამუკამ ცოლიდ მიმიუვანა თავის საპლ-ზი განსვენებულის მამიჩმის სურვილის თანახმად და ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ბედს დაემორჩილეო, შეეჩვევი, შე-გიყვარდებათ, მითხრეს. ჩემ ურემლებს ყურადღება არავინ მიაქცია... მამუკას სახლში გაბოროტებული მივედი... შურის-ძიების სურვილი აღმერჩა... მინდოდა ჩემის გამოუბედურებე-ლის გული დაშეკოდა... — ქილი ცოტა ხნით შეჩერდა, ღე-ლავდა. სული მოიბრუნა და ისევ განაგრძო: — მამუკა დაბრ-მავებული იყო ჩემი სიყვარულით. ვერას მხედავდა... მინდოდა მელალატნა, მინდოდა ზაზა შემეცდინა და ისე შეძია შური... განზრახვამ იმაოდ ჩამიარა: ზაზას მამა ძალიან უყვარდა... ზიზღით შემომხედა. ამან უფრო გამაბოროტა... მამუკას მო-ვასენე, შენი საყვარელი შეილი შენს სიკვდილს დამემუქრა-მეთქი... დაიჯერა. ზაზა სახლიდან გააგდო... ახალგაზიდა ვაე-კაცი სახლში არავინ მიიღო, ყველამ შეიძულა და ყაჩალიდ გავიარდა... მე არ ვცხრებოდი; მამუკას საზაფხულო სახლი გადავუწვიდა ქსეც ზაზას დაპპრალდა...

მამუკა აენთო, მოლოზნისაკენ გაიწიო, მაგრამ უცბად მისუსტდა და მუხლები ჩაეკეცა, სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩა-ჰკიდა.

— მე ამ ქვეყანის ილარ ვეკუთვნი, მამუკავ! ჩემი მსხვერი  
ლი მხოლოდ ღმერთი-ღაა! — უთხრა მზირობ თავის წამეჭულ-  
ლარს და ისევ მეტეს მიმართა.

— ამა ქვეყნისა მშრალებელო, გული ჩემი ისე იყო შუ-  
რისძიებით ალესილი, რომ ჯერ ვირთებულისა ვვრძნობდი, მაგ-  
რამ შემდევ ნელ-ნელა სინდისი მიჩრჩეუნდა... ძნელი, ძნე-  
ლი ყოფილა სინდისთან ბრძოლა! ზაზის მდგომარეობა მო-  
სვენებას არ მძღვევდა... განვლო დრომ. შემოესია ქვეყანის  
მტერი და ყველამ შენსკენ გამოსწიო... მხოლოდ ზაზის არა  
ჰქონდა ამის უფლება. ჩემის წყალობით მამულს მეომარი  
აკლდებოდა. . მამუკაც შენ გეახლა... მარტო დაურჩი... სინ-  
დისმა ქენჯნა მიმატა, ვეღარ გავძელი და ამ ქვეყნიურ ცხოვ-  
რებაზე უძრი ეყავ... — ქალი შეჩერდა, მძიმედ ამოისუნთქა და  
თავის სიტყვა ისე დაამთავრა, — მე მინდოდა, მამულის სათაყვა-  
ნებელ გმრისთვის ჩირქი მომეშორებინა, რომ უფრო გაბრ  
წყინებული წარსდგომოდა ერსა... ჩემი მოვალეობა ავასრუ-  
ლევ...

მოლოზანშა პირბადე ჩამოიტარა, წყნარიდ თავი დაუკრა  
მეტეს და გაშორდა. ხმა არავის ამოულია.

ახალგაზტა მორბენალიდე მოხუც მორბენალიდესთან მი-  
ვიდა და მხარზე ხელი დაადო.

— მამი! — გიოსმა, ნელი ხმა. — რაც მოხდა, მოხდა! წამო  
დი, ახლა გამიშიე მამობა, მე კიდევ ვეცდები შენს გულს  
ტკივილები გავუქარეო.

მამუკამ შეიღს შეხედა და ცრემლები ლაპალუპით გად-  
მოსცვევდა, უნდოდა გადაპხევეოდა, შვერამ თავი შეიკავა, წი-  
მოდგა, ზაზამ ხელი ჩაჰკიდა და აუჩქარებელი ნაბიჯით გალავ-  
ნის კარებისაკენ გაემართნენ. არავის შეუჩერებია.

ინ-ზანი

(დასახრული იქნება)



# შავ ტუანეტას შვილობილი

(შემთხვევა \*)

## XXXIII

### სამზობლო ში



ილიპეს ეგონა. მარარებელი სადგურს ვეოთი შიოლ-წევდა, ისე უჩქარებოდა მარარებლიდან ჩიმსხვლა.

— ჯერ მთავრის ქუჩაზე წავიდეთ და სელინა ვნახოთ,— მხიარულად ეუბნებოდა ის მიყუჩებულ ლილიბელს. ამას ის თავმომწონე შეხედულობა სრულებით აღარ ჰქონდა, რომელიც შემფერის მრავალი ბრძოლის და სხვ-და-სხვა დაბრკოლების მამაცურად ამტან ადაბიანს.

— მე ვფიქრობ, რომ დედა მიმშევავს გაპარეისათვის. მეშინია,— ვერ მივალ იმასთან. სჯობია ჯერჯერობით წყლის პირად წავიდე და იქ დავიციდო, სანამ პირველი სუსზი გაივ-ლიდეს.


— არათერსაც არ გეტყვის, — უპასუხა ფულიპემ, — სელი-ნას კიდეც გაეხარდება შენი ნახვა.

— დედა დარწმუნებულია, რომ მე მკვდარი ვარ, — ამ-ბობდა ლილიბელი; — ცოცხალი რომ მნახოს, უკველად შეი-შლება.

ფულიპეს ძველებურად მხიარულად გაეცინა.

— წავიდეთ, წავიდეთ, ნუ გეშინია! სელინა ისეთი კე-თილია, რომ შენ ხელსაც არ გახლებს!

\*) იანვარი 1918 წ. „ნაკადული“-ს №№ 1—2.



ის აქერებით გამოეთხოვა მემანქანის თანაშემციქნებულის არიგით გაპქანდა ელიზიანის მინცორჩე მთავრის ქუჩისაკენ. ფილიპე ახლა საკუდავი, ტალახში ამოთხუპნული შეზიერი აღარ იყო; ის ახლა თავის სისუსტეს, დახეულ, მტვერიან ტანისა-მოსს, აქერილ თბის და მზისაგან დამწვარ სახეს ყურადღებას აღარ იქცევდა; ის ახლა ისევ მთავრის ქუჩაზე სელინასაკენ მიმავალი ტუანეტას ფილიპე იყო.

ეკლესიასთან შესდგა, რომ ბალისათვის თვალი მოევლო. რა კარგი იყო იქ! სურნელოვანი ჰეთისხილის ხე პყავლდა; იასამანი ბრწყინვედა თავისი თეთრი ვარსკვლავებით და ცვა-ვილნარში მშეენიერი ია გაშლილიყო. ფილიპემ გამხდარი სახე რკინის მესრებიან ალაყაფის კარებს მიაყრდნო და გაუმაძლ-რად დაუწყო ყნოსეა ნაცნობ სურნელებას.

— ომ, რა კარგია შინ ყოფნა! — დოძხა მან, ღიმილით გაბრწყინვებულმა, — რა გაუკვირდება სელინას, რომ გვნახავს!

— ფილიპეს, რახაცირკელია, სელინა ძეელს ალაგზე ვაუ-ლებოდა და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი იქ აღარ და-ხედებოდა; მაშინაც კი, როცა ფილიპე ბანკის დერეფანს მი-უახლოედა და იქ ვერც სელინა და ვერც მისი დაზგა ვერ ნა-ხა, თავის თვალებს არ დაუჯერა; დიდხანს გაოცებული იდგა და იმ ალაგს უყურებდა, სადაც სელინა ყოველთვის იჯდა და შორიდანვე მხიარული ღიმილით უხდებოდა. ახლა აქ აღარაფერი არ იყო, სრულებით არაფერი სელინას ნიერებისაგან. მაღალი სვეტები და ლამაზი დერეფანი უსე-ლინოდ თითქო დაბატარიავებულიყო და დაუშნოვებულიყო. მთელი ქს ალაგი უდაბურად და მწეხარედ გამოიყურებოდა და ციფი, ნაცრისფერი ქვის დანახვამ ხომ მთლიად მოუკლა ფილიპეს გული.

— სად არის დედა-ჩემი? — წაისურნულა თვალებ-დაცვე-ტილმა, გაოცებულმა ლილიბელმა: — აქ აღარ არის; სადღაც წასულა, — სოქეა მან, და რაღვან სასჯელი დროებით აშორდა, მსუბუქად ამოისუნთქა.

ფილიპე სდუმდა. მას მწუხარების გამოსახატავად ცისტიქვით  
ბი ვერ ენახა. მოიწმინდა ცრემლები და მეზობლის დუქანში  
შევიდა სელინას შესახებ ამბის გასაგებად. ოდესლაც მოელი  
ეს მიღამო იკრობდა სელინას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახლან-  
